GRASS
REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 110
თარიღი: 17 04 2014 წ.

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
# MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 0 14 00210346

14/04/2014

**ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის" (GRASS)**
**დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს**
მის.: თბილისი, რაზმაძის ქ. N15

**ბატონო სერგი,**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შემოსული თქვენი 2014 წლის 1 აპრილის წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის №189390, 03.04.2014) პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, 40-ე მუხლების შესაბამისად, გაცნობებთ, რომ „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის N25/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლის თანახმად, საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს: სერტიფიცირებასა და საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის დირექტორობის კანდიდატების ასარჩევად წარდგენას. 2013 წლის დირექტორების სერტიფიცირების კონკურსი წარმატებით 981-მა კანდიდატმა გაიარა, თუმცა ამ ეტაპზე, სერტიფიცირებული დირექტორობის კანდიდატების საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის ასარჩევად წარდგენა ჯერ არ განხორციელებულა. ამდენად, დღეისათვის, საქართველოს მასშტაბით სერტიფიცირებული დირექტორი მხოლოდ 7 სკოლაშია, რომელთაც 2011 წელს გაიარეს შესარჩევი კონკურსი. დანარჩენ სკოლებში, ამ ეტაპზე არიან მოვალეობის შემსრულებელი დირექტორები.

ზემოხსენებული ბრძანების დანართის პირველი მუხლის თანახმად, პირველი ეტაპი (სერტიფიცირება) მოიცავს კიდევ 2 ეტაპს: რეგისტრაცია/ტესტირებასა და დირექტორობის მსურველთა გასაუბრებას. დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სერტიფიცირების ეტაპისათვის რეგისტრაციის ვადა განისაზღვრება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში - „მართვის სისტემა") უფროსის

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ტესტირება ტარდება დირექტორობის მსურველთა რეგისტრაციის ვადის დასრულებიდან არაუადრეს 10 დღისა.

2013 წლის დირექტორთა სერტიფიცირების კონკურსის ფარგლებში „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის სერტიფიცირების ეტაპისათვის დირექტორობის მსურველთა რეგისტრაციის ვადის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2013 წლის 25 ივლისის N1.1/190 ბრძანებით განისაზღვრა სერტიფიცირების ეტაპისათვის დირექტორობის მსურველთა რეგისტრაციის ვადა 2013 წლის 25 ივლისის 12:00 საათიდან 2013 წლის 07 აგვისტოს 20:00 საათამდე. აღნიშნული ინფორმაცია (სიახლე) განთავსდა როგორც მართვის სისტემის (იხ. https://emis.ge/news/794/), ასევე, სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდებზე (იხ. http://www.mes.gov.ge/content.php?id=4740&lang=geo). აღნიშნული სიახლე ასევე მოიცავდა მოიცავდა ინფორმაციას საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის სერტიფიცირების ეტაპის ტესტირების სავარაუდო ვადების თაობაზე.

2013 წლის 14 აგვისტოს, მართვის სისტემამ კვლავ განათავსა ინფორმაცია საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთათვის ტესტირების ვადების შეხსენების მიზნით (იხ.https://emis.ge/news/800/), ხოლო სამინისტრომ გამოაქვეყნა ტესტირების განრიგიც (იხ. http://www.mes.gov.ge/content.php?id=4757&lang=geo).

სერტიფიცირების მეორე ეტაპს - დირექტორობის მსურველთა გასაუბრებას ატარებს/ატარებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია/კომისიები, გასაუბრების განრიგი კი ქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გასაუბრების დაწყებამდე არაუგვიანეს 5 დღისა. გასაუბრების ეტაპი დაიწყო 2013 წლის 28 ოქტომბერს და დასრულდა 2014 წლის 26 დეკემბერს.

ასევე გაცნობებთ, რომ 2011 წელს საჯარო სკოლის დირექტორების კონკურსი დაიწყო 25 თებერვალს (რეგისტრაციის ვადა 25 თებერვლიდან 20 მარტის ჩათვლით) და აღნიშნული პროცესი დასრულდა 2011 წლის 30 ივნისს, მას შემდეგ, რაც სსიპ მასწავლებელთა განვითარების ეროვნული ცენტრიდან, რომელიც უზრუნველყოფდა კონკურსის ორგანიზებას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს მიეწოდა დირექტორობის მსურველთა სია, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის ტესტირების ეტაპი.

აქვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას შემდგომ თანამშრომლობაზე.

პატივისცემით,

**საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე**
**პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე**

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი /
საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად
გამოქვეყნების სამმართველო
სამმართველოს უფროსი
ირაკლი კოპალიანი